ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის
ო ქ მ ი №01-06/03

დაბა ქედა, **12 მარტი, 2024 წელი**

სხდომა დაიწყო: 12:10 საათზე.
სხდომა დამთავრდა: 12:35 საათზე.

საკრებულოს სხდომას სიითი შემადგენლობის 21 წევრიდან ესწრებოდა 18.

სხდომას თავმჯდომარეობდა ამირან ცინცაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:
რომან დავითაძე - საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე;
რეზო თურმანიძე - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
არჩილ გორგილაძე - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
ამირან წულუკიძე - საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე;
ოთარ ხარაძე - სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
ლევან ბერიძე - საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე;
ვაჟა აბულაძე - საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე;
ლევან ვერძაძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარე;
ჯიმშერ სამნიძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
მარინა ბარამიძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
გოჩა გორგილაძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
ირაკლი მახარაძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
მერაბ ნაკაშიძე - საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე;
მამუკა გოგოლიშვილი - საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
დავით სირაბიძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე;
შორენა კარანაძე - საკრებულოს წევრი;
მზია ბოლქვაძე - საკრებულოს წევრი.

სხდომას არ ესწრებოდნენ:
მინდია არძენაძე - საკრებულოს წევრი:
გოჩა ჟღენტი - საკრებულოს წევრი;
ჯემალ დავითაძე - საკრებულოს წევრი.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:
ზაზა დავითაძე - საკრებულოს იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი;
ნონა თებიძე - საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და საორგანიზაციო განყოფილების უფროსი სპეციალისტი საორგანიზაციო საკითხებში.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №01-06/03 რიგგარეშე სხდომა

საკრებულოს წევრების სარეგისტრაციო ფურცელი

12 მარტი, 2024 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	ამირან ცინცაძე	საკრებულოს თავმჯდომარე	
2	რომან დავითაძე	თავმჯდომარის I მოადგილე	
3	რეზო თურმანიძე	თავმჯდომარის მოადგილე	
4	არჩილ გორგილაძე	თავმჯდომარის მოადგილე	
5	ამირან წულუკიძე	კომისიის თავმჯდომარე	
6	ლევან ბერიძე	კომისიის თავმჯდომარე	
7	ოთარ ხარაძე	კომისიის თავმჯდომარე	
8	მერაბ ნაკაშიძე	კომისიის თავმჯდომარე	
9	ვაჟა აბულაძე	კომისიის თავმჯდომარე	
10	ლევან ვერძაძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
11	დავით სირაბიძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
12	მამუკა გოგოლიშვილი	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
13	ჯიმშერ სამნიძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
14	მარინა ბარამიძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
15	გოჩა გორგილაძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
16	ირაკლი მახარაძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
17	მზია ბოლქვაძე	საკრებულოს წევრი	
18	შორენა კარანაძე	საკრებულოს წევრი	
19	მინდია არძენაძე	საკრებულოს წევრი	
20	გოჩა ჟღენტი	საკრებულოს წევრი	
21	ჯემალ დავითაძე	საკრებულოს წევრი	

სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ სხდომაზე დასწრეთ მიულოცა განვლილი დღესასწაულები 3 მარტი (დედის დღე) და 8 მარტი (ქალთა საერთაშორისო დღე) და უსურვა აქტიური და წარმატებული პირადი და კარიერული ცხოვრება.

შემდეგ წარმოადგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 12 მარტის №01-06/03 რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის პროექტი შემდეგი სახით:

1. „ქედის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 დეკემბრის №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელი: ბიუჯეტის დაგეგმვისა და ფორმირების განყოფილების უფროსი: ეკა გოგუაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე: ამირან წულუკიძე

2. ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების (ქონება) ნუსხის დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი: სულიკო ბოლქვაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს ქონების მართვის და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე: მერაბ ნაკაშიძე

დღის წესრიგის გაცნობის შემდეგ საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-ს თავმჯდომარე დავით სირაბიძემ პირველ რიგში მიულოცა სხდომაზე დამსწრე ქალბატონებს განვლილი დღესასწაულები და წარმატებები უსურვა. შემდეგ კი გააკეთა განცხადება თებერვლის თვეში მომხდარი სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახების თაობაზე, კერძოდ: ,,ერთი თვე გავიდა მას შემდეგ რაც სტიქიამ დამანგრეველი შედეგები მოიტანა ქედის მუნიციპალიტეტში, აღნიშნულთან დაკავშირებით ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-მ მოითხოვა რიგგარეშე სხდომის მოწვევა, რომელიც არ გაითვალისწინა საკრებულომ, არც ფრაქციის სხდომას ჩვენს მიერ მოწვეული ქედის მუნიციპალიტეტის მერი როლანდ ბერიძე არ დასწრებია. სწორედ ამიტომ მორიგ სხდომაზე ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-ს წევრებმა შეგნებულად არ დავესწარით, რადგან დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა-დამტკიცების აუცილებლობას ფრაქციის წევრები ვერ ვხედავდით. სტიქიის შემდეგ არ მახსენდება საკრებულოს წევრების აქტიურობა, სოფელ ზვარეში მოქალაქე ელოდებოდა დამხმარე ტექნიკას და საბოლოოდ საკუთარი სახსრებით მოაგვარა პრობლემა. მოსახლეობას გადატანილი სტრესისა და შიშის გამო სხვა ყველა დახმარებასთან ერთად ფსიქოლოგიური დახმარებაც ესაჭიროებათ. ბევრი პატარა ფსიქოლოგიურად დაისტრესა და დაითრგუნა. მეგონა დღევანდელ სხდომაზე მაინც მოხდებოდა სტიქიით დაზარალებული ოჯახების ბინის ქირით უზრუნველყოფის პროგრამაში, ბინის ქირის თანხის გაზრდა, თუმცა არც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სხდომაზე გასულა სტიქიის საკითხი, რაც ძალიან სამწუხაროა, რადგან სტიქიის შედეგებზე პასუხისმგებელი პირები თითოეული ჩვენთაგანია, განსაკუთრებით ხელისუფლება. დღემდე არაა მოქალაქეების განცხადებებზე არანაირი რეაგირება გეოლოგიური დასკვნის არქონის გამო, სწორედ ამიტომ დღის წესრიგიდან გამომდინარე ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წარმოდგენილი საკითხების განხილვას მიზანშეუწონლად მივიჩნევთ, რადგან არსებული კორექტირება ვერანაირ დახმარებას ვერ აღმოუჩენს სტიქიის შედეგად დაზარალებულ

მოსახლეობას, ამიტომ ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვაში მონაწილეობას არ მივიღებთ“.

განცხადებასთან დაკავშირებით სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ განმარტა, რომ ბიუჯეტის კორექტირება კონკრეტულად ემსახურებოდა ბოლო პერიოდში მოხდარ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის ხანძრის შედეგად დაწვას. რაც შეეხება სტიქიით დაზარალებული მოქალაქეების დახმარების საკითხს, ხელისუფლება მუშაობდა ზარალის დათვლაზე, ბიუჯეტში ცვლილების შეტანას საკრებულო ჯერ ვერ განსაზღვრავდა, რადგან მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდან უნდა შემოსულიყო საკითხი დასამტკიცებლად, რაც შეეხებოდა გეოლოგების მუშაობას, ამირან ცინცაძე აღნიშნავდა, რომ ძირითადი დასკვნები გაკეთებული იყო და უახლოეს მომავალში საბოლოო შედეგები ცნობილი იქნებოდა. აქვე აღნიშნა, რომ ქირით გაყვანის თანხის გაზრდა იგეგმებოდა უახლოეს მომავალში.

ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-ს წევრებმა (დავით სირაბიძემ, შორენა კარანაძემ და ირაკლი მახარაძემ) სხდომა 12:20 წუთზე დატოვეს.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტი კენჭისყრაზე დააყენა:

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს :

დამტკიცდეს: ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 12 მარტის №01-06/03 რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი პროექტი.

1. მოისმინეს: „ქედის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 დეკემბრის №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელმა ეკა გოგუაძემ საკრებულოს სხდომაზე წარადგინა „ქედის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 დეკემბრის №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (წერილის ნომერი: 12-952440671-95; თარიღი:07/03/2024) ცვლილებათა რეესტრის ერთად საკრებულოს მორიგ სხდომაზე განსახილველად.

ქედის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში შესატანი ცვლილების რეესტრი

№	პროგრამული კოდი	დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა	თანხა -/+	შენიშვნა
1	02 04 02	პრიორიტეტული ღონისძიებების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენა	100 000	შემოსავლის გამოთავისუფლება აჭარის კაპიტალური ტრანსფერით
2	02 01 02	ავტობუსის შესყიდვა (ერთი ერთეული)	103 050	მომწოდებელთან გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად ვალდებულების 50 %-ის 103 050 ლარის ანაზღაურება მოხდება 2025 წელში

3	02 03 01 02	ცხმორისის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფლის სახლის მოწყობა	116 000	ტენდერიდან მიღებული ეკონომია
4	06 01 01	მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ამბულატორიებში დასაქმებული ექიმების ტრანსპორტით უზრუნველყოფა	8 520	მოხდა პროგრამის დაზუსტება და ააკლდა ხარჯების გეგმა
6	01 01 02	მუნიციპალიტეტის მერია	10 480	გათბობის სისტემის ბუნებრივ აირზე გადასვლის შედეგად მიღებული ეკონომია
7	06 02 02	ვეტერანთა უკვდავყოფის, სარიატუალო მომსახურების, სადღესასწაულო დღეების ორგანიზება და დახმარება	11 000	ტენდერიდან მიღებული ეკონომია
ჯამი			**349 050**	**X**
№	**პროგრამული კოდი**	**ასიგნებების დასახელება**	**თანხა +/-**	**შენიშვნა**
1	02 01 01	შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია	119 050	თებერვლის თვეში სტიქიური მოვლენების დროს მნიშვნელოვნად დაზიანდა საგზაო ინფრასტრუქტურა, რისთვისაც შიდა-საუბნო გზების რეაბილიტაციისათვის საჭიროა თანხის დამატება
2	02 04 02	პრიორიტეტული ღონისძიებების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენა	100 000	დაფინანსდება აჭარის ა/რ კაპიტალური ტრანსფერით
3	02 03 03 03	მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების ცენტრებისა და მასში შემავალი სოფლების ცენტრების კეთილმოწყობის, ინფრასტრუქტურის მოწყობის და სხვადასხვა ინვენტარის შეძენა	10 000	2023 წლის ბოლოს შემოსული შესრულების დაფინანსება მიმდინარე წელს

4	02 03 01 01	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება	108 000	ამხანაგობის მხარდამჭერ პროგრამით გათვალისწინებულია 100 ათასი ლარი, ხოლო გასულ კვირაში განვითარებული ხანძრის შედეგად დაზიანებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის შეცვლის საპროექტო დოკუმენტაცია 208 000 ლარზე იქნა წარმოდგენილი, რის გამოც საჭირო გახდა 108 000 ლარის დამატება.
5	02 02 01 05	სოფელ სირაბიძეებში წყალმომარაგების გამანაწილებელი აუზის მოწყობა	12 000	
ასიგნებების ჯამი			**349 050**	**X**
ხარჯებსა და შემოსავლებს შორის ბალანსი			**0**	**X**

მომხსენებლის განმარტებით, საკრებულოსი წარმოდგენილი ბიუჯეტის ცვლილების პროექტს მიზანშეწონილია ასევე დაემატოს შემდეგი სახის ცვლილებები:

ქედის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში შესატანი ცვლილების რეესტრი

№	**პროგრამული კოდი**	**დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა**	**თანხა -/+**	**შენიშვნა**
1	01 01 01	მუნიციპალიტეტის საკრებულო	70 000	არაფინანსური აქტივი(ავტომანქნის შეძენა)
ჯამი			**70 000**	**X**
№	**პროგრამული კოდი**	**ასიგნებების დასახელება**	**თანხა +/-**	**შენიშვნა**
1	01 01 02	მუნიციპალიტეტის მერია	2 000	არაფინანსური აქტივი (კონდიციონერის შეძენა)
2	02 02 01 06	სოფელ დოლოგანში წყალმომარაგების გამანაწილებელი ავზის მოწყობა	40 100	არაფინანსური აქტივი
ასიგნებების ჯამი			**42 100**	**X**
ხარჯებსა და შემოსავლებს შორის ბალანსი			**-27 900**	**X**
ნაშთიდან მოსესხების შემცირება			**0**	**X**

საერთო ბალანსი	**-27 900**	**X**

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ განმარტა, რომ სტიქიით დაზარალებული მოსახლეობის დახმარებისათვის მოხდა წარმოდგენილი საკითხის გატანა საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე, რათა დროულად მომხდარიყო დახმარების აღმოჩენა. აქედან გამომდინარე საკრებულომ ერთხმად გადაწყვიტა საკრებულოსათვის ავტომობილის შეძენაზე გამოყოფილი 70 000 ლარი გადატანილიყო მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურულ პროექტებში.

აქვე, საკრებულოს სოციალურ საკითხტა კომისიის თავმჯდომარე ოთარ ხარაძემ სიტყვა ითხოვა დავით სირაბიძის მიერ გაკეთებულ განცხადებასთან დაკავშირებით, კერძოდ, ბოლო დროს განვითარებული სტიქიის მოვლენებისას საკრებულოს წევრთა ნაკლებად აქტიურ ჩართულობასთან დაკავშირებით და განაცხადა, რომ პირადად ის გასული იყო არაერთ ლოკაციაზე, კონტაქტი ჰქონდა დაზარალებულებთანაც, რამოდენიმე დღის წინ დაზარალებულ მოსახლეობასთან საერთო შეხვედრაც შედგა, სადაც ჩართული იყო მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო. ამიტომ, მას არასწორ ინფორმაციად მიაჩნდა დავით სირაბიძის მიერ ნათქვამი თითქოსდა საკრებულოს წევრები ნაკლებად იყვნენ ჩართული სტიქიურ მოვლენებთან დაკავშირებულ საკითხებზე. თუ ფოტო და ვიდეომასალა არ იყო ატვირთული სოციალურ ქსელებში, ეს იმას არ ნიშნავდა, რომ საკრებულოს წევრები ნაკლებად ჩართული იყვნენ სტიქიულ მოვლენებთან დაკავშირებით.

შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს დამატებით წარმოდგენილი ცვლილებების გათვალისწინებით.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 15

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი დამატებითი ცვლილებების გათვალისწინებით.

(დადგენილება N3; 13.03.2024 წელი).

2. მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების (ქონება) ნუსხის დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსმა სულიკო სურმანიძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების (ქონება) ნუსხის დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (წერილის ნომერი: №12-95240714-95, 11.02.2024 წელი) და განმარტა, რომ ინდივიდუალური აქტის მიღების მიზანია ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების ნუსხის დადგენა, რომელითაც შესაძლებელი იქნება ელექტრონული აუქციონის ფორმით განხორციელდეს პრივატიზება - საკუთრებაში გადაცემა, როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირებზე. აქვე წარმოადგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების (უძრავი/მოძრავი ქონება) ნუსხა დანართის სახით საკრებულოს მორიგ სხდომაზე დასამტკიცებლად.

რიგითი N	ქონების დასახელება	ქონების მისამართი	მესაკუთრე	შენობა-ნაგებობის ფართობი კვ.მ	დაკავებული მიწის ფართობი კვ.მ	მიწის სარეგისტრაციო N	საწყისი გასაყიდი ფასი (ლარი)	შენიშვნა
1	2	3	4	5	6	7	8	9
1	ყოფილი თამბაქოს დამზადების ადმინისტრაციული შენობა (კანტორა)	დაბა ქედა, ვაჟა-ფშაველას ქუჩა №3	ქედის მუნიციპალიტეტი	154.50	132.00	21.03.33.072	17430.00	
2	ყოფილი თამბაქოს საწყობი	დაბა ქედა, აღმაშენებლის ქუჩა N17	ქედის მუნიციპალიტეტი	403.00	290.00	21.03.35.073	12410.00	
3	სასურსათო მაღაზია (პრიანიკები)	სოფელი ქვ. მახუნცეთი	ქედის მუნიციპალიტეტი	115.30	125.00	21.01.37.007.01.500	18594.00	
4	ყოფილი სასადილოს შენობა	სოფელი მერისი	ქედის მუნიციპალიტეტი	72.40	113.00	21.05.33.026	6922.00	
5	ყოფილი რძის ქარხანა	დაბა ქედა, რუსთაველის ქუჩა N36	ქედის მუნიციპალიტეტი	547.40	4163.00	21.03.35.005	106233.00	
6	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქედის მუნიციპალიტეტი სოფ. ზესოფელი	ქედის მუნიციპალიტეტი	-	2627.00	21.06.32.002	15 499.00	
7	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქედის მუნიციპალიტეტი სოფ. კოლოტაური	ქედის მუნიციპალიტეტი	-	290.00	21.02.31.290	2001.00	
8	ავტომანქანა FORD TRANSIT 2.4D მიკროავტობუსი სახ. ნომრით (HB137BB)	დაბა ქედა, კოსტავას ქ. N3 (მერიის ეზო)	ქედის მუნიციპალიტეტი				4800.00	საწყისი საპრივატიზებო თანხა 6000 ლარი შემცირდეს 20 %-ით და განისაზღვროს 4800 ლარი.

შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები;
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
(განკარგულება N: გ-95.95240731 , 13.03.2024 წელი).

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ 12:35 საათზე სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: **ამირან ცინცაძე**

ოქმი შეადგინა:
საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა
და საორგანიზაციო განყოფილების უფროსი
სპეციალისტი საორგანიზაციო საკითხებში **ნონა თებიძე**